შპს „იმედი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 3 გვ.
2. მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიშგება - 4 გვ.
3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება - 5 გვ.
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება- 6 გვ.
5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები - 7 გვ.

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022	2021
აქტივები		
მიმდინარე აქტივები სულ:	**1.581.657**	**2.952.507**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	88.429	21.011
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	780.394	2.235.927
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
მარაგები	700.341	695.569
სხვა საგადასახადო აქტივი	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	12.493	-
გრძელვადიანი აქტივები სუკ:	**75.476**	**111.805**
ძირითადი საშუალებები	74.626	110.955
ბიოლოგიური აქტივები	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	850	850
სულ აქტივები:	**1.657.133**	**3.064.312**
ვალდებულება და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	**841.589**	**1.475.401**
სავაჭრო ვალდებულებები	419.339	1.151.559
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	292.417	229.007
საგადასახადო ვალდებულებები	85.689	51.590
სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	44.144	43.245
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ	**-**	**-**
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-
სხვა გრძეკვადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	**841.589**	**1.475.401**
წლის მოგება ზარალი	109.854	1.997.310
საწესდენო კაპიტალი	-	-
დაგროვილი მოგება/ზარალი	705.690	(408.399)
არამაკონტროლებელი წილი	-	-
სულ კაპიტალი:	**815.544**	**1.588.911**
სულ ვალდებულება და კაპიტალი	**1.657.133**	**3.064.312**

ირაკლი სალია
დირექტორი

ოლიკო ილაურ
მთ. ბუღალტერი

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022	2021
ამონაგები	12.988.038	11.610.766
რეალიზებული პროდუქციის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(11.348.056)	(7.591.905)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან:	1.639.982	4.018.861
სხვა საოპერაციო შემოსავალი	27.429	-
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1.667.411	4.018.861
მიწოდების ხარჯები	(5.085)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1.742.667)	(1.855.027)
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები:	(1.747.752)	(1.855.027)
ნეტო შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	1.060	-
ფინანსური შემოსავლები	-	-
დადებითი საკურსო სხვაობები	-	-
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	433.623	61.766
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	434.683	61.766
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(17.323)	(678)
ფინანსური დანახარჯები	-	-
ჯარიმები და საურავები	(66.500)	(48.000)
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-	-
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	(4.802)	(179.612)
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(88.625)	(228.290)
მოგება დაბეგვრამდე:	265.717	1.997.310
მოგების გადასახადის ხარჯი	(155.863)	-
სულ პერიოდის მოგება/ზარალი	109.854	1.997.310

ირაკლი სალია
დირექტორი

ოლიკო ილაური
მთ. ბუღალტერი

3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	-	-
პერიოდის მოგება/ზარალი	-	(408.399)	(408.399)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	**(408.399)**	**(408.399)**
პერიოდის მოგება/ზარალი	-	1.997.310	1.997.310
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	**1.588.911**	**1.588.911**
პერიოდის მოგება/ზარალი	-	109.853	109.853
გაცემული დივიდენდი	-	(883.221)	(883.221)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	**815.543**	**815.543**

ირაკლი სალია

დირექტორი

ოლიკო ილაური

მთ. ბუღალტერი

4. ფულადი ნაკადებისს ანგარიშგება

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	16.375.745	11.336.080
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ზარალის დასაფარავად / ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხები	-	-
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10.868.077)	(6.550.185)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2.468.706)	(2.613.070)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	-	-
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	(300)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1.962.540)	(2.124.267)
მოგების გადასახადი	(155.863)	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		
ფულადი ნაკადის წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან:	**920.558**	**48.257**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(14.081)	(55.711)
მიღებული პროცენტები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	=
სხვა შემოსულობანი / გაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი ნაკადის წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან:	**-14.081**	**-55.711**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(839.060)	-
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	-	-
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი ნაკადის წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან:	**(839.060)**	**-**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა ან კლება (ნეტო)		
ფულადი ნაკადების წმინდა ნაზრდი:	**67.418**	**(7.454)**
ფულადი ნაკადები წლის დასაწყისისათვის:	**21.011**	**28.465**
ფულადი ნაკადები წლის ბოლოსათვის:	**88.429**	**21.011**

ირაკლი სალია
დირექტორი

ოლიკო ილაური
მთ. ბუღალტერი

5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს იმედი დაფუძნდა: 12 თებერვალი 2019 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 438732329. მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი სამტრედია, უდილავაძის ქ. 9. საწარმოს დამფუძნებელია სერგო რუხაძე (პ/ნ 37001011660). დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია: 12 თებერვალი 2019 წელი. 2020 წლის 9 იანვარს მოხდა ცვლილება, საწარმოში შეიცვალა მესაკუთრე, დირექტორი და იურიდიული მისამართი. მესაკუთრე: აკაკი უჯმაჯურიძე (პ/ნ 37001007213). იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი სამტრედია, რესპუბლიკის ქ., II ჩიხი, N 1. საქმიანობის სფერო: წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების მონტაჟი.

2. შესაბამისობის განცხადება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.
საწარმო აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მსს ფასს-ის შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:
ფინანური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი (ლარი), რაც წარმოადგენს საწარმოს ფუქნციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

საწარმოს უცხოურ ვალუტაში ბრუნვა არ აქვს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები განეკუთვნება ისეთ აქტივებს, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები აღიარდება სასაქონლო-მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, რომელშიც ის იმყოფება.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები
ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღიარდებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.
ცვეთა
ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან. ცვეთის ნორმები ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით:

- ოფისის აღჭურვილობა- 20%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი- 20%
- სპეცინსტრუმენტი1- 20%
- სპეცინსტრუმენტი- 20%
- მეორადი ჯიხური-20%
- სატრანსპორტო საშუალებები-20%

საწარმო არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს საფინანსო წლის ბოლოს, რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისაგანაც სარგებელს მოელის გაუფასურდა.
როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

არამატერიალური აქტივები
საწარმოს არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ პროგრამულ ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. პროგრამული ლიცენზიების დაახლოების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია ვადის მიხედვით თუ აღნიშნული წინასწარ დადგენილია ან სხვა შემთხვევაში ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15%-ს.

ვალდებულებები
კომპანიის ვალდებულებები ძირითადად წარმოიშობა სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების შედეგად. მოკლევადიან ვალდებულებად აღიარდება ისეთი ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებად აღიარდება ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადი
2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადში შესული ცვლილება:
2017 წლის 1 იანვრიდან ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება საწარმოში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით საწარმოს მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა ეს მოგება

გაიცემოდა დივიდენდად თუ საწარმოში რჩებოდა. 2017 წლის 1 იანვრიდან საწარმოები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, ხარჯები რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

საწარმოს ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს: ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

	2022 წელი	*2021 წელი*
სს თიბისი ბანკი	88 429	21 011

მოკლევადიანი მოთხოვნები

საწარმოს მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება დებიტორული მოთხოვნებისაგან.

დებიტორული მოთხოვნები:

	2022 წელი	*2021 წელი*
შპს თბილისი ენერჯი	721 944	2 188 982

გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია) პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები.

საწარმოს 2022 წელს არ აქვს გაცემული სესხები.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც საწარმო გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში, როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი, რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საეჭვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საეჭვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება-ზარალში, როგორც უიმედო ვალების ამოღება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება საწარმოს წესდებით. საწარმოს წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საწარმოს კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო

კომპანიის მფლობელის მიერ.

	2022 წელი	*2021 წელი*
საწესდებო კაპიტალი	0	0

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს

	2021 წელი	*2021 წელი*
აკუმულირებულ მოგება-ზარალი	109 853	1 588 911

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა

შემოსავლები და ხარჯები ფინანსური ანგარიშგების ის ძირითადი ელემენტებია, რომლის საფუძველზე საწარმოს მოგების გამოთვლა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასება ხდება.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

არსებობს ორი სახის შემოსავალი: საოპერაციო და არსაოპერაციო

საოპერაციო შემოსავალი დაკავშირებულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან: საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციასთან, მომსახურების გაწევასთან. ხოლო არასაოპერაციო შემოსავლები მიიღება სხვა თანამედრო სამეურნეო ოპერაციების შედეგად, როგორიცაა: საპროცენტო შემოსავლები, სესხები, დივიდენდები, მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, მოკება კურსთაშორისი სხვაობიდან და სხვა.

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

	2022 წელი	*2021 წელი*
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	12 988 038	11 610 766

ხარჯები ისევე როგორც შემოსავლები, ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ხარჯების ზრდა ხდება პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეების კაპიტალის განაწილებასთან.

ასევე დანახარჯები უნდა დაჯგუფდეს მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით, როგორიცაა საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები.

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის პროცესში და მოიცავ: ა) რეალიზებული საქონლის/მომსახურების და მზა პროდუქციის თვითღირებულებას. ბ) მიწოდების ხარჯებს. გ)საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. არასაოპერაციო ხარჯები წარმოიქმნება თანმდევი საქმიანობის პროცესში და მოიცავს: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისს, საპროცენტო ხარჯებს, ზარალს კურსთაშორისი სხვაობიდან, ზარალს ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და სხვა.

	2022 წელი	2021 წელი
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**1.742.667**	**1.855.027**
შრომის ანაზღაურება	1.524.192	1.642.196
საპენსიო დანარიცხები	17.550	70.001
ბანკის საკომისიო ხარჯები	4.319	3.664
საიჯარო ქირა	86.247	46.973
კომუნიკაციის ხარჯები	13.587	9.862
ტექდათვალიერების სერვისი	102	136
კომპიუტერის ხარჯები	676	908
ქონების გადასახადის ხარჯი	1.087	916
წარმომადგენლობითი ხარჯები	3.438	4.057
საკნცელარიო ხარჯი	-	2.103
ა/მ ტექ. მომსახურება	63.508	-
სარეკლამო მომსახურება	-	50.847
აუდიტორული მომსახურება	8.000	8.000
COVID-19 თან დაკავშირებული ხარჯები	52	2.500
სააღსრულებო ბიუროს ხარჯი	280	-
სხვა საერთო ხარჯი	19.630	12.864

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

	2022 წელი	*2021 წელი*
ფინანსური შემოსავლები	-	-

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური

მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბას 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისს აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება 1. აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; 2. მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; 3. ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიმიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

ა) უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

ბ) უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და

აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.
აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.